როგორ მივიღოთ მონაწილოება Zoom-ის საშუალებით

გამართულ შეხვედრაში

ლექტორებისგან თქვენ მიიღებთ ვიდეო კონფერენციის ბმულს, რომელიც სპეციალურად დამზადებული იქნება ლექციაზე/სემინარზე დასასწრებად.

Zoom-ის დაინსტალირება შესაძლებელია შეხვედრის ლინკზე გადასვლის შემდგომ ავტომატურად. ლინკზე გადასვლისას თქვენ დაინახავთ მარცხენა დაბალ კუთხეში ჩამოტვირთულ ფაილს, რომელზე დაკლიკების შემდეგ, პროგრამა დაიწყებს დაინსტალირებას.



თუმცა, დროის დასაზოგად და ტექნიკური შეფერხების თავიდან ასაცილებლად, შეგიძლიათ გადმოიწეროთ და დაინსტალიროთ შემდეგი ბმულიდან : https://zoom.us/download

დაინსტალირებას სულ 2 წუთი სჭირდება.



Download ღილაკზე დაკლიკების შემდეგ ჩამოიტვირთება ფაილი მარცხენა დაბალ კუთხეში.



ბმულზე გადასვლისა და პროგრამის წარმატებით ჩამოტვირთვის შემთხვევაში, გამოჩნდება ფანჯარა.



ფანჯარაში აირჩევთ Join Audio Conference by Computer, რის შემდეგაც ჩაერთვებით შეხვედრაში.

შეხვედრაზე ჩართვისას დაინახავთ შემდეგი სახის გამოსახულებას:

მონიტორიზე იქნება შეხვედრაზე ჩართული ყველა პირი, მათ შორის თქვენც.

პანელის საშუალებით შეგიძლიათ მართოთ თქვენი მიკროფონო, კამერა, გამოიყენოთ ჩათი კომუნიკაციისთვის და ა.შ.



აუცილებელია, რომ მიკროფონი ან ვიდეო კამერა არ იყოს გადახაზული, რაც ნიშნავს, რომ შეხვედრაზე ჩართული პირები თქვენს გამოსახულებას დაინახავენ და ხმას გაიგონებენ.

Gallery View-ზე დაწკაპებით ეკრანზე ყველა პირს ერთად დაინახავთ.

Participants-ველში ჩანს ყველა ჩართული ყველაზე მონაწილე.

Share Screen-ის საშუალებით შეგეძლებათ გააზიაროთ თქვენი დესკტოპი, იმ შემთხვევაში, თუ მაგ. რაიმე დოკუმენტის ჩვენება დაგჭირდებათ თქვენი კომპიუტერიდან.

Chat-ის საშუალებით შეგეძლებათ შეხვედრაზე დამსწრე პირებს მიწეროთ.

Record-ის უფლება ექნება მხოლოდ მოდერატორს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ დააკლიკეთ Leave Meeting-ს.

Zoom აპლიკაციით სარგებლობა შესაძლებელია როგორც სმარტფონით. ასევე პერსონალური კომპიუტერითა და ლეპტოპით.